ხაშურის მოამბე

№34(358) 12 სექტემბერი, ორშაბათი, 2022 წელი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე შიდა ქართლში შეხვედრა გაიმართა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა ლელა ჯანაშვილმა და სამსახურის სხვა წარმომადგენლებმა მორიგი რეგიონული შეხვედრა შიდა ქართლის მხარეში გამართეს. შეხვედრა ქალაქ გორში, გაფართოებულ ფორმატში წარიმართა, რომელსაც შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი დაესწრო. ასევე, შეხვედრას რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და გორის, კასპის, ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტების ის თანამშრომლები ესწრებოდნენ, რომელთაც პერსონალური მონაცემების დამუშავება უწევთ.

ლელა ჯანაშვილმა შეკრებილებთან სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებზე, გეგმებზე, გამოწვევებსა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. შეხვედრის ფარგლებში, ყურადღება მუნიციპალიტეტებში პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობაზე და მათთან არსებულ გამოწვევებზე, ასევე, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამახვილდა. სამსახურის მხრიდან აღნიშნული ინფორმაცია დამსწრე აუდიტორიას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა,აღნიშნული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა მიაწოდეს. გარდა ამისა,განიხილეს კონკრეტული მაგალითები და შემთხვევები.

შეხვედრების ციკლს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური სხვა რეგიონებში მომავალშიც გააგრძელებს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი ჩორჩანასა და ავლევში მოსახლეობას შეხვდნენ

გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში,ჩორჩანასა და ავლევში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან მათ წინაშე არსებული საჭიროებები განიხილეს.

„დღეს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ჩორჩანასა და ავლევის მოსახლეობას შევხვდით. აქ მცხოვრებ მოსახლეობას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ადგილობრივებისგან პირადად მოვისმინეთ არსებული საჭიროებები. მიუხედავად სოფელში უკვე განხორციელებული არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტისა, როგორიცაა სოფლამდე მისასვლელი და შიდა გზების, გარე განათების სისტემისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია, გვაქვს კიდევ მცირე გამოწვევები, რომლებსაც ეტაპობრივად მოვაგვარებთ. ადგილობრივებთან პირდაპირი კომუნიკაცია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. პროცესებში მათი თანამონაწილეობა, არსებული პრობლემების დროული გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა და ამ პრობლემებს ზუსტად, რომ ერთობლივი მუშაობის შედეგად მოვაგვარებთ.“- აღნიშნა მხარის რწმუნებულმა.

- სკოლა -

15 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი იწყება

ორი წლის შემდეგ, წელს, პირველად, სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში, შეზღუდვების გარეშე დაიწყება. რა ტიპის გამოწვევებთან მოუწია განათლების სისტემას ბრძოლა, ყველას კარგად გვახსოვს. მიუხედავად ამისა, განათლების სამინისტრო, ახალი ძალებით, რეფორმებით და ინფრასტრუქტურული სიახლეებით იწყებს მუშაობას. სიახლეებია, როგორც საორგანიზაციო, ისე სასწავლო პროცესებში. თუ როგორ ხვდება ახალ სასწავლო წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტი, ამ საკითხებზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, **ზვიად გოგუაძე** გვესაუბრება:

- ბატონო ზვიად, პანდემიის დასრულების შემდეგ, რა გამოწვევების გადალახვა გიწევთ, როგორ იწყებთ სასწავლო პროცესს?

–პანდემიით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზარალი, რომ სკოლების უმრავლესობას ჰიბრიდულ რეჟიმში უწევდა სწავლების პროცესის განხორციელება, ვერ გეტყვით, რომ სრულად აღმოფხვრილია. სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლებს ძალიან ბევრი აქვთ სამუშაო და ამ მუშაობის განსახორციელებლად, როგორც ცნობილია ყველასთვის, ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ინერგება ყველა სკოლებში, რაც გულისხმობს საპილოტე რეჟიმში განსხვავებული საგნობრივი კურიკულუმების შექმნას და ამ ტიპის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ამ პროცესის განვითარებისთვის, სკოლებთან მიავლენს დარგობრივ ექსპერტებს, რომლებიც დაეხმარებიან სკოლებს 2018 წელს დამტკიცებული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელებაში. ამ ეტაპზე, ყველასთვის სავალდებულოა მისი დაგეგმვა. ეს გულისხმობს მოსწავლეებისთვის კეთებით სწავლებას, მათი მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და რომ ჩვენ, მასწავლებლები, უნდა ვიყოთ დამხმარეები სასწავლო პროცესში. ეს, რაც შეეხება სასწავლო პროცესის მიმართულებას. წელს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიახლეებია, ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით, რომელზეც ქვემოდ ვისაუბრებ.

- როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესისთვის მზადება?

–ჩვენთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ორგანიზება სწორად და დროულად, ამისთვის, ჩემს კოლეგებთან ერთად, ძალისხმევას არ ვიშურებთ. ამეტაპზე, მობილიზებული ვართ იმ სკოლების სათბობი საშუალებებით უზრუნველსაყოფად-რომელ სკოლაშიც არაა გათბობა(ასეთი ცხრა სკოლაა ჩვენს მუნიციპალიტეტში), ვმუშაობთ ალტერნატიულ ვარიანტზე, სადაც არ იქნება შეშით უზრუნველყოფის რესურსი, სატყეო დეპარტამენტთან თანამშრომლობით, ჩავანაცვლებთ სხვა საშუალებით. ყველა პირველკასელისთვის უკვე გვაქვს კომპიუტერები, გარდა ამისა, ყველა პირველი კლასის დამრიგებელი აღჭურვილია პორტაბელური კომპიუტერებით,. მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, ამ ეტაპზე, სახელმძღვანელოების 95 პროცენტი, რესურსცენტრმა გადასცა უკვე სკოლებს. დარჩენილია მხოლოდ ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც ეტაპობრივად გადაე-

(დასასრული VI გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 53

2022 წლის 01 სექტემბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს კომისიების წლიური სამუშაო გეგმები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა საკრებულოს მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საჭიროებს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებას

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge ;

4. განკარგულება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე

N	საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების დასახელება	განხილვის დრო	მომხსენებელი	პასუხისმგებელი საკითხის მომზადებაზე
1	2	3	4	5
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობისა და შეფასების თაობაზე.	06.ოქტ	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2022 წლის 10 თვეში გაწეული საქმიანობისა და შეფასების შესახებ	03.ნოე	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	სოციალურ საკითხთა კომისია

მუნიციპალიტეტის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, ერთიანი პლატფორმის განვითარებისა და შემდგომი აქტივობების განხორციელების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე,ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე და საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ირმა ნოზაძე-ჩადუნელი, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს მზია გიორგობიანს,შიდა ქართლის რწმუნებულის მოადგილეს სიმონ გულედანს და ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსა და მათი დონორი ორგანიზაციის- მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს სისტემაში, ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმატებითაა ჩართული და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, წამყვან პოზიციებზეა, გარდა ამისა, ამოქმედებულია სხვადასხვა პორტალი, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს, ინფორმაცია მყისიერად მიიღოს, ან დააფიქსიროს მოსაზრება სხვადასხვა საკითხებზე.

მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს სისტემაში ჩართულია როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ასევე, ყველა ადმინისტრაციული ერთეული (მათ შორის, საზღვრისპირა და მაღალმთიანი ადმინისტრაციული ერთეულები) და 5 ა(ა)იპ ორგანიზაცია. უმოკლეს ვადებში, იგეგმება დანარჩენი ა(ა)იპ ორგანიზაციების გადამზადება.

აღსანიშნავია, რომ საქმისწარმოების ერთიანი წესების ძირითადი მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, სხვადასხვა ინფორმაციაზე, მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, დოკუმენტების რაოდენობის შემცირება, მათი შედგენისა და გაფორმების ხარისხის გაუმჯობესება და მმართველობითი აპარატის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2022 წლის მეორე კვარტალში (აპრილი, მაისი, ივნისი) გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდში, სამსახური ახორციელებდა მასზე დაკისრებულ სხვადასხვა სამსახურებრივ ფუნქციებს, მათ შორის: მოცემულ პერიოდში, საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესით, სასამართლოში წარიმართა საქმეები, რომლებშიც ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სახით (მომზადებული იქნა სარჩელები, საჩივრები, შესაგებლები და სამართალდარღვევის ოქმები) სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში.

საანგარიშო პერიოდში, სულ სასამართლო წარმოებაში იყო 45 საქმე, სადაც მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი იყო მხარედ. აქედან, 28 იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების, 10 - სამოქალაქო სამართალწარმოების, 7 საქმე განიხილებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ნარჩენების მართვის კოდექსებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ფაქტებზე. ზემოხსენებული 29 ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებიდან 4 საქმეზე მუნიციპალიტეტი მესამე პირად იყო ჩაბმული სხვადასხვა ინსტანციის (მეორე და მესამე ინსტანცია) სასამართლოებში და ახდენდა მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას. სასამართლო წარმოებაში არსებული 45 საქმიდან 7 საქმე დასრულდა და შევიდა კანონიერ ძალაში. აქედან 1 საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკმაყოფილებული იქნა მუნიციპალიტეტის მერიის კანონიერი ინტერესები - ადმ. სამართალდარღვევის საქმეზე სამართალდამრღვევად ცნობილი იქნა ბრალეული პირი; მესამე პირად ჩაბმულ 1 ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეზე უზენაესმა სასმართლომ დაუშვებლად ცნო კასატორის საჩივარი და, შესაბამისად, მერიის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი და მის საფუძველზე გამოცემული შესყიდვების სააგენტოს განკარგულება, კომპანიის შავ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, დარჩა ძალაში; 2 სამოქალაქო სამართალწარმოების საქმე დასრულდა მორიგებით,სადაც სრულად იქნა დაცული მერიის კანონიერი ინტერესები; 1 სამოქალაქო სამართალწარმოების საქმეზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მერიის კანონიერი ინტერესები; 1 ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმე და ასევე 1 ადმ. სამართალდარღვევის საქმე დასრულდა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, კერძოდ: სასამართლომ მესამე პირის მიერ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო და მერიის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო მეორე შემთხვევაში სასამართლომ ბრალეული პირი არ ცნო სამართალდამრღვევად და შეწყდა საქმის წარმოება.

დღეისათვის სასამართლო წარმოებაშია სულ 38 საქმე, აქედან 26 საქმე არის ადმინისტრაციული სამართალწარმოების, (მათგან 3 საქმეზე მუნიციპალიტეტი მესამე პირადაა ჩაბმული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში),7 საქმე არის სამოქალაქო სამართალწარმოების,ხოლო 5 საქმე განიხილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალწარმოების წესით (2 ა.ს.კ. და 3 ნარჩენების მართვის კოდექსით). აღნიშნული საქმეებიდან 28 საქმე განიხილება ხაშურის რაიონულ სასამართლოში, 8 საქმე იხილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში,ხოლო 2 საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ამასთანავე, სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის 4 საქმეზე სამსახური ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და მერიის კანონიერი ინტერესების დაცვას. აღნიშნულ საქმეებზე არ დასრულებულა წინასწარი გამოძიება და, შესაბამისად, მათზე გრძელდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში, მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურმა სამართლებრივი დახმარება გაუწია ზედამხედველობის სამსახურის მიერ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) მუხლის და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 130-ე მუხლით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეებზე. მათგან 2 უნებართვო მშენებლობის ფაქტზე მოხდა შესაბამისი რეაგირება - დაჯარიმება.

პარალელურ რეჟიმში სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დასკვნების მომზადება. საანგარიშო პერიოდში იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ეკონომიკური განვითარების, საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა სამსახურებიდან შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე გაცემულია 7 სამართლებრივი დასკვნა, რომელიც ეხებოდა მერიის სხვადასხვა სამსახურების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში. სამსახურის მიერ მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის მომართულ მოქალაქეთათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა როგორც წერილობითი ფორმით, ასევე უშუალო გასაუბრების გზით. საანგარიშო პერიოდში, სამსახური უზრუნველყოფდა წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიწის რეგისტრაციებთან დაკავშირებით გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე მერიის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესწავლას.

საანგარიშო პერიოდში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ა(ა)იპ „ხაშურსერვისში“ მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესში და უზრუნველყოფდა კანონმდებლობის შესაბამისად პროცედურების წარმართვას,აგრეთვე სამსახური ჩართულია ახალი ა(ა)იპ „წყლისა და გამწვანების კომპანიის“ დაფუძნების პროცესში, რა დროსაც სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სათანადო სამართლებრივი ქმედებები და კონსულტაციები. აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში სამსახურის ინიცირებით საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნა განკარგულების 2 პროექტი.

სამსახური სისტემატურად ჩართულია მერიაში შექმნილი კომისიების (დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შექმნილ) და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში,როგორც მუდმივმოქმედ ფორმატში, ასევე ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებში, მათ შორის:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია“ ;

2. „მოქალაქეობის დადგენის მიზნით პირის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია“ ;

3. “ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი“;

4. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია“;

5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების შესაძლებლობის, მიზანშეწონილობისა და მოცულობის განმსაზღვრელი კომისია;

6. ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია - (წევრი დავით ღვალაძე);

7. ზედამხედველობის სამსახურში კომპეტენციით მიკუთვნებული საკითხების შესწავლისა და განხილვის სამუშაო ჯგუფი;

8. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული კონკრეტული ადმინისტრაციული საჩივრის შემსწავლელი და განმხილველი დროებითი სამუშაო ჯგუფი;

9. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის უწყებათაშორისი კომისია;

10. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო;

11. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი და უძრავი ქონების ინვენტარიზაციის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

12. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული კონკრეტული ადმინისტრაციული საჩივრის შემსწავლელი და განმხილველი დროებითი სამუშაო ჯგუფი;

მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების პარალელურად და სამსახურებრივი საქმიანობის სპეციფიკიდან და სტატისტიკიდან გამომდინარე, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებში, მერიის დებულებასა და მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანას, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების შემუშავებას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

დავით ღვალაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20 ,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5, 6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29 ,30,31,32,33)

მამაკაცების გვერდით იბრძოდნენ ხაშურელი ქალებიც.

1943 წლის 7 ოქტომბერს, ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა წერილი ფრონტიდან - „მზიური საქართველოს კომკავშირელ ქალებს“, რომელსაც ხელს აწერდნენ ხაშურელი ქალიშვილები: ეფრეიტორი ეთერ გიორგი ასული ციყელაშვილი, ეფრეიტორი ქეთო ნიკოლოზის ასული არბოლიშვილი და ეფრეიტორი თინა გიორგის ასული კობალაძე.

წერილში ნათქვამია: „მშობლიურ საქართველოში მყოფო ძვირფასო მეგობრებო, კომკავშირელო ქალებო! მოგესალმებით მოქმედი არმიის ერთ-ერთი ნაწილიდან და გადმოგცემთ მხურვალე მებრძოლურ სალამს.

იმ დროს, როდესაც ჩვენს საყვარელ სამშობლოს თავს დაესხა გამხეცებული ვერაგი მტერი და გადმოლახა ჩვენი საზღვრები, საბჭოთა ხალხმა ერთი გრძნობით გამსჭვალულმა, გაილაშქრა საზიზღარი ფაშისტების წინააღმდეგ. საქართველოს რაიონებიდან ბევრი კომკავშირელი ქალი მოხალისედ წავედით სამშობლოს დასაცავად მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში. ჩვენში იყო მხოლოდ ერთი გრძნობა – არ შეგვერცხვინა ქართველი კომკავშირელი ქალების სახელი, მოგვეხადა ჩვენი წმიდა მოვალეობა სამშობლოს და კომკავშირის წინაშე.

ნაწილში გამოცხადებისთანავე დავიწყეთ მეცადინეობა, ფრიადზე ავითვისეთ სამხედრო დისციპლინები, დავეუფლეთ სამხედრო ტექნიკას და გავხდით მოწინავე მებრძოლები.

საბრძოლო დავალების შესრულებასთან ერთად, არ გვავიწყდება ზურგში მყოფი მეგობრები და გადავწყვიტეთ, გადმოგვეცა თქვენთვის ჩვენი სურვილები. ძვირფასო მეგობრებო, მოგიწოდებთ გაამაგროთ ზურგი, საწარმოებში გარდაქმნათ თქვენი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე და გადაჭარბებით შეასრულოთ გეგმები. სკოლაში მოსწავლე დებო, ისწავლეთ ფრიადზე, აითვისეთ სამხედრო საქმე. ჩვენ კი უკვე კომკავშირის რიგებიდან გადავედით პარტიის რიგებში და პირნათლად ვასრულებთ პარტიის ყოველგვარ დავალებას. მოგიწოდებთ, გახდეთ სამშობლოს თავდადებული პატრიოტები და თუ საჭირო იქნება, თქვენც გვერდში ამოგვიდგეთ.

ძვირფასო დებო, ჩვენი თვალით ვნახეთ, თუ რა სისასიზღრე ჩაუდენიათ გერმანელ მხეცებს დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, რომ საზიზღარი გერმანელების კვალი არ აჩნდეს. მრავალ დედას მოუკლეს შვილი, ცოლს-ქმარი, დას-ძმა, მრავალ ახალგაზრდა ქალს გაუმწარეს სიცოცხლე. მეგობრებო, შური ვიძიოთ უდანაშაულოდ დაღუპული ძმებისთვის, დებისა და დედ-მამისათვის. წინ სამშობლოსთვის, სტალინისათვის!“.

ხაშურში ხშირად მოდიოდა წერილები წითელი არმიიდან. წერილებში საუბარი იყო მებრძოლთა შესახებ. იმ საბრძოლო გზაზე და თავგანწირვაზე, რომლებსაც ისინი იჩენდნენ ფრონტზე. ერთ-ერთი ასეთი წერილი 1943 წლის დეკემბერში მივიდა არჩილ ალექსის ძე კილაძის ოჯახში. მასში ნათქვამი იყო:

„გამარჯობა, პატივცემულო არჩილ ალექსისძევ!

კომკავშირული ორგანიზაცია ნაწილისა, სადაც თქვენი შვილი კომკავშირელი, წითელარმიელი მიხეილ არჩილს ძე კილაძე მსახურობს, გიგზავნით თქვენ საბრძოლო ფრონტულ სალამს და გიძღვნით მადლობას იმისათვის, რომ აღზარდეთ მამაცი, ვაჟკაცური და დისციპლინირებული მებრძოლი, ჩვენი სამშობლოს სახელოვანი დამცველი – მიხეილ არჩილის ძე.

პატივცემულო არჩილ ალექსის ძევ! გაცნობებთ, რომ თქვენი შვილი, მამაცურად განაგრძობს ბრძოლას გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მტრის საარტილერიო და სანაღმტყორცნო სროლის დროს, როცა ყუმბარები საცეცხლე პოზიციებზე სკდებოდა, მისი სიცოცხლისათვის შექმინილი საფრთხის მიუხედავათ, ის უზრუნველყოფდა განუწყვეტელ კავშირს ქვედანაყოფთან, ნაწილის კომკავშირულმა ორგანიზაციამ თქვენი შვილი მიიღო ალკკ რიგებში, როგორც საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი.

უკრაინის დიდი სამრეწველო ქალაქისა და რკინიგზის კვანძის №-ის გათავისუფლების დროს, მან, თავის ნაწილთან ერთად, მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის მადლობა, კომკავშირული ორგანიზაცია ამაყობს თქვენი შვილით და დარწმუნებულია, რომ იგი შემდეგშიაც ვაჟკაცურად განაგრძობს გერმანელ დამპყრობთა განადგურებას.

გისურვებთ ჯანმრთელობას და დარწმუნებული ვარ, რომ შრომის ფრონტზე თქვენც მთელ თქვენს ძალ-ღონესა და ცოდნას მოახმართ ფრონტისადმი დახმარების საქმეს

№ ნაწილის კომკავშირული ორგანიზაციის სახელით, ნაწილის კომორგი, უმცროსი ლეიტენანტი ლევჩენკო. ქვეგანყოფილების კომორგი პარხუნი“.

აი, კიდევ ერთი ასეთი წერილი, რომელიც 1944 წლის ნოემბერში მიიღო ზაქარია ნიკოლაძის ძე ღონღაძემ.

„პატივცემულო ზაქარია ნიკოლოზის ძევ!

თქვენმა ვაჟმა, ნიკოლოზ ზაქარიას ძემ, რომელიც ჩვენს ნაწილში იმყოფება, ჩვენი სამშობლოსათვის ბრძოლაში გვიჩვენა გმირობის, მამაცობის და გამბედაობის ნიმუშები, როგორც შეეფერება წითელი არმიის მებრძოლს – სოციალისტური სამშობლოს პატრიოტს.

ის მტკიცედ და პირნათლად ასრულებს თავისი დიდი ხალხის განაწესს: ანადგურებს გერმანელ ავაზაკებს მათ სრულ მოსპობამდე.

ხვდებოდა რა ოქტომბრის სოციალსტური რევოლუციის სახელოვან 27 წლისთავს, ნიკოლოზ ზაქარიას ძემ გამოიჩინა უშიშროება ფაშისტ პირატებთან ბრძოლაში. როგორც განსაკუთრებით მამაცი მზვერავი. იგი გაბედულად შეიჭრა მტრის განლაგებაში და ავტომატით მოსპო 3 გერმანელი ჯარისკაცი. გმირობის, მამაცობის და გამბედაობის გამოჩენისთვის, თქვენი შვილი ნიკოლოზ ზაქარიას ძე დაჯილდოებულია „დიდების“ მესამე ხარისხის ორდენით.

სახელი და დიდება მამაც მეომრებს.

გმადლობთ, ზაქარია ნიკოლოზის ძევ, ღირსეული შვილის – გერმანელ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყლის გათავისუფლებისთვის სახელოვანი მეომრის აღზრდისთვის.

გისურვებთ ზაქარია ნიკოლოზის ძევ, თქვენ და თქვენს ოჯახს ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს და დაუღალავად შრომას ჩვენი სოციალისტური სამშბლოს საკეთილდღეოდ.

წითელი არმიის №51411 ნაწილის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში – მაიორი ბასი. 7 ნოემბერი 1944წ.”

„ერთ თვეში 5 მადლობა მიიღო“ - ასეთი სათაურით აქვეყნებს ადგილობრივი გაზეთი წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ „ხაშურში, გიორგი აბასაშვილის ოჯახში ყველაზე ძვირფას დოკუმენტს წარმოადგენს პატარა ნაბეჭდი ფურცელი, რომელსაც ხელს აწერს წითელი არმიის №22335 ნაწილის მეთაური მაიორი მიშჩენკო.

ფურცელი მოგვითხრობს ამ ოჯახის შვილის – უფროს სერჟანტ შოთა აბასაშვილის საბრძოლო დამსახურებაზე. მას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებათა მონაწილეს, საუკეთესო საბრძოლო მოქმედებისათვის უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებებით გამოეცხადა მადლობა.

29 ივნისის ბრძანებით ქ. ბობრუისკის აღებისთვის, მინსკის აღებისთვის.

8 ივლისის ბრძანებით ქ. ბარანოვიჩის და ბარანოვიჩის გამაგრებული რაიონის აღებისათვის.

10 ივლისის ბრძანებით ქ. სლონიმის აღებისთვის.

28 ივლისის ბრძანებით ქ. ბრესტის აღებისთვის.

ამგვარად, ერთ თვეში, 1944 წლის 28 ივნისიდან 28 ივლისამდე, აბასაშვილმა უმაღლესი მთავრსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინისგან 5-ჯერ მიიღო მადლობა. შოთა დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით“.

* * *

ხაშურელები თავდადებით შრომობდნენ ომის წლებში. შინდარჩენილები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ფრონტზე წასულთა გამარჯვებები ზურგიდან შრომით განემტკიცებინათ შრომითი საქმიანობის ის მუხტი, რომლითაც ხაშურლები გამოირჩეოდნენ ომის პირველ წელს, შენარჩუნებულ იქნა წლების მანძილზე და არაერთი შრომითი გმირობით წარმოაჩინეს ქალაქიჟს უმთავრესად რკინიგზის დაწესებულებებზე ითქმის, რადგან, როგორც ცნობილია, იმ პერიოდში მრეწველობის დარგები ნაკლებად იყო განვითარებული.

ხაშურელები კვლავ აგრძელებდნენ თავდაცვის ფონდში დანაზოგების შეტანას. 1942 წელს, სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის პირველ დღეს, 13 აპრილს, გავრცელდა 1903000 მანეთის სესხი. მარტო სავაგონო დეპოში ერთი საათის განმავლობაში 104-მა კაცმა 121570 მანეთის სესხზე მოაწერეს ხელი.

შემდუღებელმა ს. კილასონიძემ და მჭედელმა ბ. კალმახელიძემ 13 აპრილს 1000-1000 პროცენტებით შეასრულეს დღიური გეგმა. სამუშაოს დასრულების შემდეგ, ისინი მოვიდნენ ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე, სადაც მხურვალედ მიესალმენ ახალი სესხის გამოშვებას და აღფრთოვანებით მოაწერეს ხელი 6-6 კვირის საშუალო ხელფასზე, რაც 1500 მანეთს შეადგენს, ავტომუხრუჭების ინსპექტორმა საყვარელიძემ ხელი მოაწერა 1300 მანეთის სესხზე.

საორთქლმავლო დეპოს მემანქანემ გოგნაძემ ხელი მოაწერა ორი თვის ხელფასზე. 2052 მანეთის ოდენობით. ორი თვის ხელფასზე ხელი მოაწერა 6 კაცმა. მათ შორის მემანქანე ბლიაძემ, 2100 მანეთის რაოდენობით. სამი საათის განმავლობაში 173 კაცმა ხელი მოაწერა 129.965 მანეთის სესხზე

კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის ხაშურის დისტანციაში, ნახევარ საათში მუშა-მოსამსახურეთა ნახევარმა მოაწერა ხელი ახალ სესხზე, ყველა ხელს აწერდა 6 კვირისა და მეტ ხელფასზე. დისტანციის უფროსმა გ. სახვაძემ ხელი მოაწერა 1350 მანეთზე, ინსტრუქტორმა პ. ყიფიანმა 1100, შრომის ტექნიკმა ლ. მეგრეშვილმა 530, მეკუჭნავე პ. სახვაძემ 450 და მძღოლმა მაზმიშვილმა 760 მანეთის სესხზე.

ნახევარ საათში ხელმოწერილი იყო თანხმობა 47115 მანეთის სესხზე.

სადგურ ხაშურის კოლექტივიდან ორი საათის განმავლობაში 141 კაცმა მოაწერა ხელი 58340 მანეთის სახელნწიფო სამხედრო სესხზე.

ხაშურის რკინიგზის სახანძრო რაზმში 13 აპრილის საღამოს, 7 საათისთვის, მთლიანად დამთავრებული იყო სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა, რაც შეადგენდა 7000 მანეთს.

ქალაქის წარმოება-დაწესებულების თანამშრომლებიც ასევე წარმატებით აწერდნენ ხელს სესხზე. რაიაღმასკომის თანამშრომლებმა ა. ბოჟაძემ და თ. ჩხიკვაძემ ხელი მოაწერეს 1200-1200 მანეთზე, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ კ. ლომიძემ ხელი მოაწერა 1650, ვაშაკიძემ 1450, ხოლო ნ. ლეკიშვილმა 1120 მანეთზე. აფთიაქის თანამშრომლებმა მ. მშვიდობაძემ – 790, ქ. ქობალიამ კი 690, ნიშნიანიძემ 740 და ათაბეგოვმა 670 მანეთზე.

ადგილობრივი მრეწველობის წარმოების მუშაკმა სამ დღეში ხელი მოაწერეს 28.085 მანეთზე.

18 აპრილისთვის ქალაქ ხაშურში გავრცელებული იყო 2.912.000 მანეთის სამხედრო სესხი.

ომის მძიმე წლებში მრავალმა დიასახლისმა და ქალიშვილმა შეცვალა ხაშურის სარკინიგზო კვანძში დასაქმებული მამაკაცები. ბევრი მათგანი დაეუფლა სარკინიგზო საქმეს. მაგალითად, სოფიო ბერუაშვილი გახდა მთავარი კონდუქტორი, დიასახლისი ნატა ხოლუაშვილი ელმავლის მემანქანის თანაშემწე და სხვა.

ომის პერიოდში, არაერთმა ხაშურელმა წითელი არმიის დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა სამკურნალოდ ნებაყოფლობით გაიღეს სისხლი. ლიუდმილა ცხოვრებაძემ გაიღო 8 ლიტრი და 400 გრამი, ხოლო გაიანე მამინოვმა 9 ლიტრი და 150 გრამი.

შრომით ფერხულში აქტიურად იყვნენ ჩაბმულები ხაშურის სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობა. სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეები მუშაობდნენ კოლმეურნეობების მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში და ბაღ ვენახებში. თანასკოლელებს საუკეთესო მაგალითი უჩვენა ხაშურის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლემ ვაჟა ხვედელიძემ, რომელმაც შეისწავლა ტრაქტორის მართვა და 1942 წლის ზაფხულის მანძილზე მუშაობდა ცხრამუხის კოლმეურნეობაში.

1941 წლის ზაფხულის პერიოდში, რაიონის მოსწავლეებმა, თავიანთ პედაგოგებთან ერთად, საკოლმეურნეო მინდვრებში გამოიმუშავეს 30908 შრომადღე. ამავე წელს მათ შეაგროვეს 33 ტონა ლითონის ჯართი.

1942 წლის ზაფხულში საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობდა მოსწავლეთა 45 რაზმი, რომლებშიც გაერთიანებული იყო 1955 მოსწავლე. მათ გამოიმუშავეს 90796 შრომადღე, პედაგოგებმა კი 4640 შრომადღე.

მოსწავლეებს და მასწავლებლებს ომის პერიოდში თავდაცვის ფონდში შეჰქონდათ თავიანთი დანაზოგი ფული, ფრონტზე აგზავნიდნენ ტანსაცმელს, სურათს. ჯერ კიდევ 1941 წლის 1 ოქტომბრისათვის რაიონის მოსწავლეებმა ფრონტზე გააგზავნეს 2177 თბილი ზედა ტანსაცმელი, 78 სათბურა, 357 წყვილი წინდა, 190 წყვილი ხელთათმანი, 135 წყვილი ქეჩის ფეხსაცმელი, 60 ცალი თბილი ქუდი, 35 დაბამბული შარვალი, 3 ტყავის ქუდი, 919 ფეხსახვევი.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ქვიშხეთის სკოლა და ნეძვურის კალმახი

რ გაიკვირვო, მკითხველო, სათაურში გამოტანილი თითქოსდა, ურთიერთგამომრიცხავი „ცნებები“, ბოლომდე წაიკითხე ეს ამბავი და გაიგებ, რა შესძლებია შავ ან წითელწინწკლებიან კალმახს ლამაზად, მწკრივად ჩაწყობილს დიდ თეფშზე.

ეს ამბავი კი ასე დაიწყო: 1978 წლის შემოდგომაზე, ქვიშხეთის სკოლაში ხანძარი გაჩნდა, დაიწვა სამასწავლებლო და ორი საკლასო ოთახი. სასწავლო პროცესი არ ჩაშლილა, მაგრამ პრობლემები იყო. რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს ფაქტი და განათლების სამინისტროს წინაშე ძველი, სასწავლო პროცესისათვის სრულიად შეუფერებელი სკოლის ნაცვლად, დაესვათ საკითხი, ახალი სკოლის მშენებლობის შესახებ, თანაც უკეთეს ადგილზე, კონკრეტულად იქ, სადაც ამჟამად არის.

ჩამოვიდა განათლების სამინისტროს კომისია, დაათვალიერეს ნახანძრალი სკოლა და შეთანხმდნენ, დამწვარი ოთახები აღედგინათ და დამატებით ორი ოთახი მიეშენებინათ. რაიკომის წარმომადგენლის, განათლების განყოფილების გამგის შალვა ლაბაძის და აღმასკომის თავმჯდომარის ომარ ხაჯაველიძის წინააღმდეგობის მიუხედავად, კომისიამ თავისი გაიტანა და თბილისში უარყოფითი პასუხი წაიღო.

არ გასულა ამ ამბის შემდეგ დიდი დრო. მე შევურიგდი მომხდარს და „ხელი ჩავიქნიე“. ერთ დღეს, რაიკომის შენობაში შესულას მეორე სართულზე ბატონი ომარ ხაჯაველიძე შემხვდა. კაბინეტში შემიძღვა და მისაყვედურა „უფრო აქტიური მეგონე, როგორ შეურიგდი კომისიის დასკვნას, ჩვენ დათმობას არ ვაპირებთ და განათლების მინისტრთან დავაყენეთ ეს საკითხი. შენც მიდექ-მოდექი, ბოლოს და ბოლოს მშობლები დარაზმე... გაინძერი, გაინძერიო“.

მეც „გავინძერი“. გადავწყვიტე განათლების მინისტრთან წასვლა. გავიგე, როდის ჰქონდა მიღება და გავუდექი გზას, ჩვენს მიერ შედგენილი დასაბუთებული წერილით, სადაც ვამტკიცებდით, რომ სკოლის ახალ ადგილზე გადატანას ალტერნატივა არ აქვს და აუცილებლობას წარმოადგენს.

მინისტრმა ყურადღებით წაიკითხა ჩვენი „ნამოღვაწარი“, სადაც ვასაბუთებდით ახალი ადგილის უპირატესობას. კერძოდ, მოსწავლეთა უმეტესობას (80%) ძველ სკოლამდე 2-3 კმ აქვს გასავლელი, ახალი სკოლა კი 1 კმ-ით ამცირებდა ამ მანძილს. ძველ სკოლას ერთ მხარეს მტკვარი და სამანქანო გზა აკრავს, მეორე მხარეს კი სარკინიგზო ხაზი და ტაშისკრის არხი. იყო შემთხვევები, როდესაც მტკვარში დაიხრჩო ბავშვი. იგივე მოხდა არხშიც. მანქანამ კი, მეათე კლასელი მოსწავლე იმსხვერპლა.

მინისტრმა, ქალბატონმა თამარ ლაშქარაშვილმა მითხრა - ეს საქმე ჩემს მოადგილეს ქოჩაკიძეს ეხება. ახლა ამ წერილით მიხვალ მასთან და ის გადაწყვეტს რა და როგორ იქნებაო. თან დაურეკა, ახლა ქვიშხეთის სკოლის დირექტორი მოვა და მოუსმინეო.

ქოჩაკიძესთან 3 საათზე შევედი. კარგი სასაუბრო კაცი აღმოჩნდა. „თქვენ ვინ ყოფილხართ, რას შეყარეთ ქვეყანაო“. მე კიდევ ჩემსას ვიმეორებდი სკოლის ახალ ადგილზე გადატანის შესახებ. კარგიო, მითხრა, 25 ნოემბერს ჩამოვალ და ადგილზე გადავწყვიტოთო.

წამოვედი 25ნოემბრის იმედით. მოვახსენე ყველაფერი ხელმძღვანელობას ბატონ შალვას და ბატონ ომარს.

ერთ დღეს, რაიონის სკოლის დირექტორების თათბირის დაწყებამდე, გომის სკოლის დირექტორი შოთა სუხიაშვილი შემეკითხა - როგორ არის სკოლის მშენებლობის საქმეო? გამოცდილება ჰქონდა ამ საქმეში. მისი დამსახურებაა გომში ახალი სკოლის აშენება. - მინისტრის მოადგილე ჩამოვა ერთ კვირაში და ადგილზე გადაწყდება-მეთქი. - პურ-მარილზე წამოვაო,- მითხრა შოთამ, დიდი მოქეიფე არ არის, მაგრამ თევზი უყვარს, განსაკუთრებით ხრამულიო. სუფრაზე თევზის მეტს არაფერს ჭამსო...

დავიჭირეთ თადარიგი: კარგი ღვინო ალეკო ღონღაძემ მოიტანა. თენგიზ მჭედლიშვილმა „ცოცხალის“ შოვნა დაივალა. მინისტრის მოადგილის ჩამოსვლის წინა დღეს ალეკო მეუბნება - ახალდაბაში წავიდეთ, ნაცნობი მეთევზე მყავს და კალმახი დავიჭიროთო... 25 ცალი მტკავლის სიგრძე კალმახები დავიჭირეთ. ალეკო სიხარულით აღარ იყო - „ამ კალმახის ეშხს ვერავინ გაუძლებსო“. - ამბობდა.

12 საათზე ჩამობრძანდა მინისტრის მოადგილე თანაშემწესთან ერთად. გეოგრაფიის მასწავლებელმა იური გოლობიანმა საკუთარი მანქანით ბატონი შალვა ამოიყვანა. დავათვალიერეთ ნახევრად დამწვარი, გამურული სკოლის შენობა. მერე ახალი სკოლის მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორია ვნახეთ. 2 საათიც მოვიდა და „ტრიაფში“ წავედით.

განმარტებისათვის: „ტრიაფი“ კომუნისტური რეჟიმის დროინდელი რესტორნის თიკუნია, ბორჯომის ხეობის დასაწყისში ტაშისკართან მდებარეობდა და სამ აფერისტს ნიშნავდა.

ზღაპრული მაგიდა იყო გაშლილი. თევზეული სჭარბობდა. ზუთხიც იყო, მაგრამ მტკავლიანი ციმორები თითქოს საკოცნელად გვიწვევდა. ბატონმა შალვა ლაბაძემ ითამადა. მისი სადღეგრძელოები მთლიანად ახალი სკოლის მშენებლობას ეხებოდა. თუ რა დიდი სიკეთე იქნებოდა სკოლის ახალ ადგილზე გადატანა და სხვა.

მინისტრის მოადგილემ თევზეული მიირთვა. 3-4 ჭიქა ღვინოც

დალია. მანამდის ერთი ჭიქა კონიაკი შესვა. ყველაზე გემრიელი თევზი „ხრამულიაო“ ბრძანა. მე შევეპასუხე - „გურმანები“ ამბობენ, ყველაზე გემრიელი თევზი საქართველოში ხაშურსა და ახალდაბას შორის დაჭერილიაო.

ძველი სკოლის რეკონსტრუქცია ერთჯერ ახსენა. ბოლოს ბრძანა, 5 საათზე ქუთაისში უნდა ვიყოვო და ავიშალეთ. ბატონი შალვა შეეკითხა, - კი მაგრამ, რა გადაწყვიტეთო? პასუხი არ ჰქონდა გაცემული ჩვენს სტუმარს, რომ ალეკო ღონღაძე შემოვიდა და მოგრძო თეფშზე ლამაზად ჩაწყობილი შავ და წითელწინწკლებიანი კალმახები შემოიტანა...

შეხედა ქოჩაკიძემ და ეს რა არისო, თქვა, რა სილამაზეაო, - ნეძვურის კალმახია ბატონო - შეაგება ალეკომ. მომეცი აქ, თან უნდა წავიღოო და დააყოლა „თანახმა ვარ, დაე, ახალ ადგილზე ავაშენოთ ახალი სკოლა, ერთ კვირაში პროექტის შესადგენად ჩამოვლენ, აბა, თქვენ იცით სიძნელეები არ შეუქმნათო...“ ეს იყო და ეს. გამოგვემშვიდობა და წავიდა.

შალვა ლაბაძე იურიმ წაიყვანა ხაშურში. მის დაბრუნებას დაველოდეთ. იური ჩქარა დაბრუნდა, მაგიდას შემოვუსხედით და გამარჯვების სადღეგრძელო განსხვავებული სასმისით შევსვით.

ასე მოხდა ეს ამბავი.

ბატონი შალვა ლაბაძე მიმტკიცებდა მინისტრის მოადგილეს ახალი სკოლის მშენებლობის საკითხი თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდაო. ალეკო ღონღაძე კი ამბობდა ახალი სკოლა ნეძვურის კალმახის პირმშოაო.

რომელია მართალი, ამ წერილის წამკითხველმა განსაჯოს.

ახალი სკოლა აშენდა და დღესაც ამშვენებს ჩვენს ულამაზეს სოფელს.

კლიმენტი სუთიაშვილი,
ისტორიკოსი

სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ ტკოცამდე გზის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება

უკვე სრულად დაგებულია ასფალტის საფარი.

სამუშაოების მიმდინარეობას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა. პროექტი საგზაო მონიშვნების გაკეთებასაც ითვალისწინებს.

ფლევსა და ტკოცაში ასფალტის გზა არასდროს ყოფილა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიდა. ამჯერად მოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა მოქალაქეთა გადაადგილებას გაცილებით უსაფრთხოსა და კომფორტულს გახდის.

სამუშაოების ღირებულება, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, 2 469 997 ლარს შეადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ღირსშესანიშნაობანი. ქვიშხეთი, მთაწმინდა.
არჩილ სუთიაშვილის ფოტო.

- სკოლა -

15 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი იწყება

(დასასრული)

ცემათ. ჩემი პირველი კომპიუტერის ფარგლებში, მოსწავლეები უკვე გამოვლენილია და შემოდგომით დაჯილდოვდებიან. ოქროს და ვერცხლის მედალოსნების შესახებ ინფორმაციაც დამუშავებულია, 114 მედალოსანი გვყავს, რაც ძალიან სასიამოვნოა და ამ მხრივად, მზაობა უკვე გვაქვს.

როგორც უკვე იცით, მუშაობს მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა, ხაშურის მუნიციპალიტეტში ეს პროგრამა ხორციელდება 16 სკოლაში და მისი განმახორციელებელი არის მუნიციპალიტეტის მერია, რესურსცენტრის კოორდინებით სკოლების ჩართულობით.

-მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტზებზე გვესაუბრეთ. როგორც ვიცი, ამ მხრივ დიდი სიახლეებია ჩვენს მუნიციპალიტეტში.

–როგორც უკვე აღვნიშნე,ძალიან მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, კონკრეტულად, ქემფრის სკოლა სრულადაა რეაბილიტირებული და ჩაერთვება სასწავლო პროცესში, აშენდა ქინძათის სკოლა და სასწავლო პროცესს ახალ სკოლაში დაიწყებს. მცირე ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ცხრამუხაში, მეშვიდე საჯარო სკოლაში დაგეგმილია, ხოლო ქალაქის მეოთხე საჯარო სკოლაში უკვე მიმდინარეობს დემონტაჟი. გარდა ამისა, ახალი სკოლა აშენდება ნაბახტევში, სრული რეაბილიტაცია იგეგმება ვაყის და ტკოცის საჯარო სკოლებში. რეაბილიტაციების მხრივ, ძალიან ბევრი სიახლე აქვს ჩვენს მუნიციპალიტეტს. შემოდგომით, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ხაშურის მეორე საჯარო სკოლის და გაზაფხულზე სურამის მეორე საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია იგეგმება და აგრეთვე, სიახლეა ისიც, რომ პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებით, რვაასი საჯარო სკოლის რეაბილიტაცია უნდა განხორციელდეს და ამ ეტაპზე, ოთხი სკოლაა იდენტიფიცირებული, დანარჩენი შესწავლის პროცესშია.

- მნიშვნელოვანი პროცესია, სკლის ახალი კადრებით შევსება, რომლეიც ახლა მიმდინარეობს. ამაზეც რომ გვესაუბროთ:

–ამ ეტაპზე, გარდა საორგანზაციო სამუშაოების და სასწავლო პროცესისთვის მზაობის, საჯარო სკოლებში არსებულ ვაკანსიებზე მიმდინარეობს მასწავლებელთა შერჩევა, შესაბამისად, ახალი კადრები შემოდიან სკოლაში. სიახლე არის ის, რომ კომისიები ბევრად ობიექტურია წელს. კომისების შემადგენლობაში, გარდა სკოლის წარმომადგენლის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, პროფკავშირების წარმომადგენელი, განათლების და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი ექსპერტი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დარგობრივი ექსპერტები მონაწილეობენ, რაც გულისხმობს. უფრო მეტ გამჭირვალობას.

- წელს, რამდენი პირველკასელი გვყავს?

– წელს, ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლა, 716 პირველკლასელს უმასპინძლებს. მინდა აღვნიშნო, რომ ყოველწლიური მატება გვაქვს მოსწავლეების, რაც ძალიან სასიხარულოა. სულ, ხაშურის მუნიციპალიტეტში, 7800 მოსწავლეა.

- როგორც ვიცი, ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო სიახლე შედის სკოლებში

–ნამდვილად ძალიან საჭირო სიახლეა. ყველა სკოლას, დაემატება ექიმთა კაბინეტი. ხაშურის რესურსცენტრს იდენტიფიცირებული აქვს ყველა სკოლა, სადაც მოხდება ექიმთა კაბინეტების განთავსება. მთავრობის გადაწყვეტილებით, ორი წლის განმავლობაში, ყველა სკოლა უნდა აღიჭურვოს სამედიცინო კაბინეტებით. ჩვენ შემთხვევაში, რომელ სკოლასაც შესაბამისი ფართი ექნებათ, უკვე შესაძლებელია გავხსნათ კაბინეტი.

- თუ არსებობს კიდევ რაიმე კოვიდრეგულაცია, რომლის დაცვაც მოუწევთ სკოლას და მოსწავლეებს?

–რაც შეეხება, რეგულაციებს. ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, სწავლების პროცესი წარიმართება შეზღუდვების გარეშე.

თ. ჯავახიშვილი

პირველკურსელთა საყურადღებოდ!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იმ სტუდენტების დაჯილდოებას, რომლებმაც 2022 წელს წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მოიპოვეს 100%-იანი გრანტი (არ იგულისხმება უფასო ფაკულტეტები და ჩაბარების შემდგომ მიღებული შიდა გრანტი).

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვების შესახებ;
3. საბანკო რეკვიზიტები.

დოკუმენტები მიიღება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურში 6 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა).

საკონტაქტო პირები:

ბესიკ გაჩეჩილაძე, ტელ: 591 057369;

მიხეილ ჭავჭავაძე, ტელ: 599 12 03 87; (0368) 24 24 56.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.